პირველი მატჩი დებიუტანტთან

ლუგანსკი. “ავანგარდის” სტადიონი. 1 აგვისტო.

“ზარია” (ლუგანსკი) _ “დინამო” (თბილისი) 0:2 (0:0).

“ზარია”: კლიუევი, ჟურავლიოვი, რაშჩუპკინი, დეგდიარევი, გლუხარევი, გალუსტოვი, შაკუნი, დროვეცკი, ბროდანეცი (სერგეევი), კისელიოვი, ბალაბა.

“დინამო”: კოტრიკაძე, შერგელაშვილი, ჭელიძე, რეხვიაშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, კუტივაძე, ასათიანი, მეტრეველი (ილიადი), ნოდია, დათუნაშვილი.

მსაჯი ნ. პანკინი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 3:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

ლუგანსკის გუნდი დებიუტანტია “ა” კლასის უმაღლეს ლიგაში. “ზარია” წელს გამოვიდა პირველად ასეთ დიდ სარბიელზე და, უნდა ითქვას, ჯერ-ჯერობით საუკეთესო შედეგები აქვს მოპოვებული. საკმარისია დახედოთ გათამაშების ცხრილს: გუშინდელი ტურისთვის, რომელიც პირველი წრის დასასრულს წარმოადგენდა ორივე მოწინააღმდეგისთვის, თბილისელებს ჰქონდათ 21 ქულა, ლუგანსკელებს _ 17. საკმარისი იყო მატჩის მოგება და “ზარია” მხოლოდ 2-ქულიან განსხვავებას იტოვებდა დინამოელებთან. ამდენად, თამაშის შედეგს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

წვიმამ საგრძნობლად დააზიანა მინდორი, მაგრამ ამ გარემოებას შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია მატჩის მსვლელობაზე. ტემპი საკმაოდ მაღალი იყო, ორივე გუნდი სრული ძალით იბრძოდა და პირველ ტაიმში უპირატესობა ძირითადად მასპინძელთა მხარეს იყო. გოლის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ ბალაბას და დროვეცკის, მაგრამ პირველ შემთხვევაში ბურთი აცდა მიზანს, ხოლო მეორედ _ კარი იხსნა კოტრიკაძემ.

დინამოელებმა ინიციატივა ხელთ აიღეს შესვენების შემდეგ. 54-ე წუთზე ასათიანი შეიჭრა “ზარიას” საჯარიმო მოედანზე და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში _ 1:0. შემდეგ, 61-ე წუთზე მეკარე კლიუევმა შეცდომა დაუშვა, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენა დათუნაშვილმა _ 2:0. ლუგანსკელთა ყოველ ცდას _ შეეტანათ ცვლილება ანგარიშში, შედეგი არ მოჰყოლია. თბილისელებმა გამარჯვებით დაამთავრეს თავიანთი პირველი მატჩი დებიუტანტთან.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 2 აგვისტო, 1967 წ.